ქალაქ თბილისის მერი

907

განკარგულება №_____

"1" სექტემბერი 2008 წ.

ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. №23–სა და №25-ში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 2008 წლის 22 აგვისტოს 12 ოქმისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. №23–სა და №25-ში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=4,1.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07წ. №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთ თვეში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

10.09.2015

განმარტებითი ბარათი

მოგასხენებთ, რომ შპს აქსისისა და შპს "აქსის გრუპის" ქონება მდებარე ბოჭორმის ქ.25 -ში ს/კ-ით 01.17.13.045.097; 01.17.13.045.035; 01.17.13.045.034 აკმაყოფეილბს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის 17^4 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

ა) პროექტი შეთანხმებულია 27/06/2008 წლის ბრძანება №01/796-ით.

ბ) ვიღებთ ვალდებულაბას, რომ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ნიზნით უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს 2018 წლის 1 იანვრამდე.

გ) ობიექტის 60%-ზე მეტი განკუთვნილია საცხოვრებლად.

შესაბამისად „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის 17^4 მუხლის საფუძველზე ობიექტი გათავისუფლებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის გადაუხდელი მოსაკრებლის გადასახადისგან.

შპს "აქსისის" გენერალური დირექტორი

შპს "აქსის გრუპის" დირექტორი /გიორგი კაპანაძე/